დანართი №2

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

ირმა ღარიბაშვილი

ხათუნა მაისაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

დანართი №2

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 200279448

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" 2019 წლის 20 და 21 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფი სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" გამოცხადდა 2019 წლის 20 მაისს, სადაც კიდევ ერთხელ შეაჯერეს პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისთვის საჭირო დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტების სია და კითხვები ინტერვიუსთვის.

დაწესებულებაში ვიზიტის პირველ დღეს მოხდა შეხვედრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან, მათთან განხილული იყო ექსპერტთა მიერ პრობლემურად მიჩნეული საკითხები, მოისმინეს დაწესებულების წარმომადგენელთა არგუმენტები. პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხვილვა/შეჯერების შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციას, ხარისხის მართვის დოკუმენტაციას, მექანიზმებს და მათი გამოყენების დამადასტურებელ საბუთებს, გადამოწმდა ადამიანური რესურსების პირადი საქმეები, შერჩევით შემოწმდა სტატუს შეწყვეტილი, სტატუს შეჩერებული და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. ექსპერტთა ვიზიტის პირველივე დღეს ჩატარდა ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან. პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება ვერ შედგა, ვინაიდან დაწესებულება არ უნიშნავს პროგრამებს ხელმძღვანელებს. შესვენების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გადაამოწმა საბიბლიოთეკო რესურსის სტანდარტთან შესაბამისობა დასამატებელი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში.ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში გადაამოწმეს ვებგვერდი, კატალოგი და რეესტრის ბაზა.

დღის ბოლოს ექსპერტებმა შეაჯამეს დღის წესრიგით გათვალისწინებული სამუშაოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მეორე დღეს დათვალიერებული იქნა პრაქტიკის ობიექტები და მოხდა პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება.

დღის მეორე ნახევარი დაეთმო ექსპერტთა მუშაობას დასკვნის პროექტზე, დაწესებულების წარმომადგენლების მიერ არგუმენტების შესწავლას და მტკიცებულებების მოგროვებას. ვიზიტის დასასრულს ექსპრტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შემაჯამებელი მოსაზრებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი**	**სტანდარტი დაკმაყოფილებულია**	**სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული**
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების	**მუხლი 6 /**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

	შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**პუნქტი ე)**		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და	**მუხლი 7 /**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ■ □

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თბილისი, 2019 წელი

	საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**პუნქტი თ)**		
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კოლეჯში სასწავლო აუდიტორიებში გამოკრულია ინფორმაცია პროფესიული მასწავლებლის მიღწევებისა და კვალიფიკაციის შესახებ, რაც ექსპერტთა აზრით წინასწარ დადებით განწყობას და ნდობას აღვივებს პროფესიულ სტუდენტებში და შესაძლებელია სხვა სასწავლო დაწესებულებების მიერაც იქნას გაზიარებული.

მნიშვნელოვანია, ასევე, რომ სასწავლო დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფესიულ სტუდენტებში შრომის უსაფრთხოების კულტურის გამომუშავებას. ამ მიზნით კოლეჯში მათ ინფორმაცია შრომის უსაფრთხოების შესახებ დამატებით ვიზუალური სახითაც მიეწოდებათ, რაც მათში ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას შრომის უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვანების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

- ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ხარვეზები არ გამოვლენილა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

კატალოგის ბოლოში განთავსებულია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების წესებსაც. თუმცა, ვინაიდან, კატალოგში და ანონსში ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახებ სასურველია იყოს მარტივად აღქმადი, სჯობს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ნაცვლად მასში ასახული იყოს მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შეფასების წესის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა, მისია და მიზნები (https://www.profgldani.ge), რომელშიც ნათქვამია, რომ ,,საზოგადოებრივი კოლეჯის ხედვაა, 2024 წლისათვის კოლეჯი იყოს კერძო და სახელმწიფო სექტორებისათვის მიმზიდველი პარტნიორი და მიმართულებების შესაბამისად დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე. საზოგადოებრივი კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები:

1. ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
2. პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება;
3. პროფესიული განათლების სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
4. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
5. სწავლების ინოვაციური შეთოდების აპრობირება და სასწავლო პროცესში მათი ჩართვა საგანმანთლებლო საქმიანობის უახლესი შედეგების დანერგვისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის;
6. მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;
7. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამების მორგება თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გათვალისწინება;
8. სასწავლო და სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება და გააქტიურება, დაინტერესებული პირების, სახელმწიფო და კერძო სექტორის, არასამთავრობო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თბილისი, 2019 წელი

ორგანიზაციების კოლეჯის მართვის და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის მიზნით.

ამ მიზნების მისაღწევად, კოლეჯი:

• უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;

• ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;

• ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;

• ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;

• ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;

• ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;

• თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

• ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;

• ახორციელებს ტრენინგ-კურსებსა და მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;

• ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

კოლეჯის მისია, ხედვა და მიზნები შეესაბამება საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე გადამოწმებული იქნა პროგრამების დამატების მიზნით სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ და საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება“ . პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ და თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა კრედიტებში, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, ახლავს სასწავლო გეგმები და მოდულები.
ორივე საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის მიმართ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შემდეგი შენიშვნები:

- მოდულები არასრულადაა ადაპტირებული და საჭიროებს სარეკომენდაციო ნაწილში მათ ადაპტირებას. კერძოდ, სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში სწავლა-სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თბილისი, 2019 წელი

მეთოდების, შეფასების მეთოდებისა და პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსათვის მტკიცებულებების ნაწილში ადაპტირება კონკრეტული მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით;

- სასწავლო გეგმებში საჭიროა კვირეული დატვირთვა იყოს 30-40 საათის ფარგლებში, რაც რამოდენიმე ადგილას დარღვეულია და არის 30 საათზე ნაკლები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში არ არის მითითებული მათი განხორციელების ადგილი, სასურველია პროგრამაშიც და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ ანონსშიც იქნას მითითებული იგი, რათა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს პროგრამების განხორციელების შესახებ სრული ინფორმაციის მარტივად გაცნობის შესაძლებლობა;

დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გაზიარებული იქნა შენიშვნები და მათ ვიზიტის განმავლობაში წარმოადგინეს შესწორებული დოკუმენტები: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,სამკერვალო წარმოება" და ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება" დამტკიცების შესახებ" სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" დირექტორის 2019 წლის 10 აპრილის N23 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება" და,,სამკერვალო წარმოება".

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება" პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით ,,საწარმოო პრაქტიკის" მოდულის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს ,,კუწურიე", შპს ,,გეოქსი" , შპს ,,Nia-Nia" , შპს ,,ნიკოლი" , შპს ,, მაუდი" და მიკრობიზნესის სტატუსის მქონე [redacted] მიკრობიზნესის სტატუსის მქონე [redacted] აღნიშნულ მემორანდუმებში გაწერილია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შერჩევით დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები (შპს ,,მაუდი" და მიკრობიზნესის სტატუსის მქონე [redacted] და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული კომპანიები მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯთან და უზრუნველყონ დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისთვის „საწარმოო პრაქტიკის" გატარება.

ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება" პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს,,არქგზაკომუნპროექტი",შპს ,,კირკიტაძე და კომპანია", შპს ,,რუკა მაპპინგი" შპს ,,სენსონი", შპს ,,LMC" და შპს ,,გეოანალიტიკა". აღნიშნულ ობიექტებზე განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება" პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის შემავალი მოდულების ,,ამზომველ-ტოპოგრაფის ხელსაწყოების ტექნიკური ექსპლოატაცია," ,,საველე ტოპოგრაფიული აგეგმვები", ,,გეოდეზიური ქსელის შექმნა," ,,გეომორფოლოგიური აგეგმვა, ,,დაკვალვითი სამუშაოების შესრულება," ,,საკადასტრო აზომვების შესრულება," ,,პრაქტიკული პროექტი ამზომველ-ტოპოგრაფისთვის", ,,არქიტექტურული გრაფიკა და დაპროექტების საწყისები-1", ,,ობიექტის ფოტოვიზუალიზაცია ტოპოგრაფ-ამზომველისთვის," პრაქტიკულ კომპონენტებში სწავლის შედეგების მიღწევა და ,,გაცნობითი პრაქტიკა -ამზომველ-ტოპოგრაფისთვის" ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება.
ექსპერტებმა შერჩევით გადაამოწმეს პრაქტიკის ობიექტები და დადასტურდა, რომ აღნიშნული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე შესაძლებელია პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება დაწესებულების მიერ პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილი კვოტის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება";
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- დაწესებულების წესდება;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" დირექტორის 2019 წლის 4 აპრილის ბრძანება N23 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,სამკერვალო წარმოება" და ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება" დამტკიცების შესახებ;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" დირექტორის 2019 წლის 19 აპრილის ბრძანება N30 ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,სამკერვალო წარმოება" და ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება" დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 აპრილის ბრძანებაში N23 ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" ვებგვერდი https://www.profgldani.ge/
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,სამკერვალო წარმოება" და ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება" დამტკიცების შესახებ" სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" დირექტორის 2019 წლის 10 აპრილის N23 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებაში არსებობს და ვებგვერდზეა ატვირთული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებში გამოსახული მოცულობისა და თვეებში გამოსახული სწავლის ხანგრძლივობის, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის შესახებ. კატალოგში ასახულია ინფორმაცია ანონსის სახით დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება" და,,სამკერვალო წარმოება".
ანონსში და კატალოგში არ იყო მითითებული პროფესიული პროგრამების განხორციელების ადგილები. ავტორიზაციის ექსპერტების შენიშვნა, რომ საჭიროა დაემატოს აღნიშნული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თბილისი, 2019 წელი

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაციის მიღების საშუალება ვებგვერდის საშუალებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პირობების შესახებ, გაზიარებული იქნა კოლეჯის წარმომადგენელთა მიერ და მათ ვიზიტის ფარგლებშივე გაითვალისწინეს ის, ანონსსა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მიუთითეს მათი განხორციელების ადგილი.

<u>კატალოგის ბოლოში განთავსებულია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების წესებსაც. თუმცა, ვინაიდან, კატალოგში და ანონსში ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახებ სასურველია იყოს მარტივად აღქმადი, სჯობს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ნაცვლად მასში ასახული იყოს მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შეფასების წესის შესახებ.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" ვებგვერდი https://www.profgldani.ge/

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში" დირექტორის მიერ 2017 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებულია ბრძანება N148 ,,ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი", რომლის მიხედვით დაწესებულების მიერ შემუშავებული იქნა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და წარმოდგენილი იქნა განხორციელების უფლების მოსაპოვებლად.

ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობის დადგენისთვის შედარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებს. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება" შედარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის N 85/ი ბრძანებაში მოცემულ იგივე დასახელების ოპტიმიზებულ ჩარჩო დოკუმენტს სარეგისტრაციო ნომრით 07319-პ, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება" კი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის N 88/ი ბრძანებაში მოცემულ იგივე დასახელების ოპტიმიზებულ ჩარჩო დოკუმენტს სარეგისტრაციო ნომრით 07120-პ.

შედარების შედეგად დადგინდა, რომ დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებულია ბრძანება N148 ,,ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება".

შეფასება:

15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თბილისი, 2019 წელი

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები რომელიც გაწერილია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში და შინაგანაწესში. შინაგანაწესში იგი გაწერილია ზოგადი სახით და იქვეა მითითებული, რომ მისი რეგულაცია ხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტთა ყურადღება მიიპყრო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ერთ-ერთმა პირობამ „კოლეჯის შინაგანაწესის არაერთგზის უხეში დარღვევა" (მუხლი3, პუნქტი 1 ვ), თუმცა დაწესებულების შინაგანაწესის მუხლის 19 პუნქტით 5 და დისციპლინური წარმოების წესის მუხლის 6 პუნქტით 2 გათვალისწინებული იყო მხოლოდ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, ხოლო პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების პირობები აღწერილი არ იყო. ავტორიზაციის ექსპერტთა აზრით საჭიროა პროფესიულ სტუდენტისთვის ნათლად და გარკვევით იყოს აღწერილი მისი უფლებები, აკრძალვები და მოვალეობები და წინასწარ იყოს ინფორმირებული მოსალოდნელი შედეგების შესახებ. გამომდინარე აქედან, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის მოთხოვნები ერთმანეთთან უნდა იყოს ჰარმონიზაციაში.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს განხილული იქნა აღნიშნული საკითხი. ისინი დაეთანხმნენ ექსპერტთა მოსაზრებას და წარმოადგინეს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში, კერძოდ ამოღებული იქნა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების (მუხლი3, პუნქტი 1 ვ-ს პირობა „კოლეჯის შინაგანაწესის არაერთგზის უხეში დარღვევა", რაც ასახულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობებში. ამგვარად პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების პირობები გახდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

<u>ნათელი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შესაბამისობაში მოვიდა შინაგანაწესით და დისციპლინური წარმოების წესით გათვალისწინებულ პირობებთან.</u>

შერჩევით გადამოწმებული იქნა იმ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები, რომლებსაც შეუჩერდათ, შეუწყდათ სტატუსი ან ისარგებლეს მობილობის უფლებით. დაწესებულების მიერ ხდება საკუთარი დადგენილი შიდა რეგულაციების მოთხოვნათა დაცვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" შინაგანაწესი;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"დისციპლინური წარმოების წესი
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" დირექტორის 2019 წლის 20 მაისის ბრძანება N 43 სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის ,, გლდანის პროფესიული მომზადებისცენტრის" დირექტორის 2019 წლის 26 მარტის ,,სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" N 21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თბილისი, 2019 წელი

პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს აღნიშნული წესის შესრულებისთვის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები შესაბამისი პროგრამების განმახორციელებელ კოლეჯებთან. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს შემდგომი განათლებით, რაც დადასტურდა ქვემოთ მოტანილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გადამოწმებით:

1. მემორანდუმი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,, გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრსა და სსიპ პროფესიულ კოლეჯ ,,ბლექსის" შორის ურთიერთთანამშრომლობის საერთო პირობების შესახებ.
2. მემორანდუმი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,, გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრსა და სსიპ პროფესიულ კოლეჯ ,,სპექტრს" შორის ურთიერთთანამშრომლობის საერთო პირობების შესახებ.
3. მემორანდუმი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,, გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრსა და სსიპ პროფესიულ კოლეჯ ,,მერმისს" შორის ურთიერთთანამშრომლობის საერთო პირობების შესახებ.

   სამივე შემთხვევაში მემორანდუმის მიზანია: პროფესიული სტუდენტების მობილობის/ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა, ხოლო მოქმედების ვადა ხელმოწერის დღიდან განუსაზღვრელი ვადით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

